ანი ბეზანტი

Annie Besant

ბუდიზმი

Buddhism

თარგმანი ინგლისური ენიდან
ეკუთვნის დავით ცომაიას

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი / 2024

წინამდებარე წიგნში ავტორი გადმოსცემს ბუდას ცხოვრების გარკვეულ ფრაგმენტებს, თუ რა როლი ითამაშა მან ბუდისტური დოქტრინის ჩამოყალიბებაში, და ამასთანავე აღწერს მსგავსება-განსხვავებებს ბუდიზმსა და ჰინდუიზმს შორის, რის საშუალებითაც მკითხველი ხედავს ავტორისეულ მცდელობას, შეარიგოს ეს ორი რელიგია ერთმანეთს.

მთარგმნელი: დავით ცომაია
გამომცემელი: გიზო ცაცუა
გამომცემლობა „აქტი“, 2024
ვებ-გვერდი: AKTI.GE
© გამომცემლობა „აქტი“
ISBN 978-9941-8-6657-9

სარჩევი

წინასიტყვაობა.....5
ბუდიზმი.....15-83

წინასიტყვაობა

წინამდებარე ლექციები როდია წარმოდგენილი, როგორც ოთხი დიდი სარწმუნოების პოპულარული გამოფენა, არამედ ეს განკუთვნილია ჩვეულებრივი მკითხველისათვის და არა სტუდენტების საინფორმაციოდ. ეს ცოდნა მიეწოდება აუდიტორიას, რომელიც თითქმის მთლიანად ჰინდუსებისაგან შედგება, მხოლოდ აქა-იქ ზოროასტრიელებისა და ქრისტიანების დამატებით; ისინი უფრო სასარგებლოდ თვლიან სანსკრიტის ტერმინების ცოდნას; ასე რომ, მკითხველის წინაშე დამატებულია გარკვეული შენიშვნები, სადაც შეიძლება გაურკვევლობა წარმოიშვას მათი გამოყენებისას. ისინი მიზნად ისახავს, დაეხმარონ ოთხივე რელი-

გიის წევრებს, რომ გააცნობიერონ მოცემული სამი რელიგიის ღირებულება და სილამაზე, რომლებიც არ არის მათი საკუთარი დოქტრინა, და წარმოაჩინონ მათი ძირითადი ერთიანობა. ბუდიზმის შესახებ ლექციაში მე განსაკუთრებით მხედველობაში მქონდა მცდარი წარმოდგენები, რომლებიც ახშობდა ბატონი ბუდას თანამემამულეების გულებს და ცდილობდა მათ დამახინჯებას ციტატებით მიღებული წმინდა წერილებიდან, შეიცავს რა მისივე სიტყვების ავტორიტეტულ ჩანაწერებს. მართლაც, მე არ ვიცი იმაზე დიდი სამსახური, რომელიც შეიძლება გაეწიოს რელიგიას, ვიდრე ამ დაშლილი სარწმუნოების ხელახლა გამთლიანება, რა ყოველივეც თითქმის ფაქტორბივად ყოფს ურთიერთისაგან აღმოსავლურ სამყაროს. ისინი დედა-შვილი გახლავთ და ოჯახური ჩხუბი იგავურად მეტად მწარეა; თუმცა შეიძლება ჩხუბი განიკურნოს, თუკი მეგობრობის სურვილი ორივე მხარეს სუფევს. ნაკლებად ღრმად ფესვგადგმული, მაგრამ უფრო მწარე გახლდათ ქრისტიანობისადმი ანტაგონიზმი, განრისხებული უმეცარი, ხშირად უხეში და შეურაცხმყოფელი თავდასხმებით, რომლებიც განხორციელებული იყო დაბალი კლასის მისიონერების მიერ პატივდებული რწმენის წინააღმდეგ,

რა უკანასკნელსაც თითქმის ყველა ჩემი მსმენელი ფლობდა. მიუხედავად ამისა, ისინი პატივისცემით უსმენდნენ და გარკვეული პერიოდის შემდეგ თანაგრძნობით ხვდებოდნენ რწმენის ამჟამინდელ გამოვლინებას საკუთართან შედარებით; და ბოლოს მიხვდნენ, რომ ეს ასევე დიდი რელიგია იყო და ნამდვილად არ გახლდათ უცხო ჰინდუიზმისთვის. ამ ლექციებს არ უსურვებთ იმაზე უკეთეს ბედს, ვიდრე იმას, რომ ისინი მშვიდობის გზავნილად იქცნენ თავიანთი მკითხველის გულებისათვის, როგორც ეს ცხადად გააკეთეს მათ ადრეულ მსმენელთათვის.

ამ ლექციების ძირითადი პრინციპები შემდეგია: თითოეული რელიგია განიხილება ოკულტური ცოდნის ფონზე, როგორც მის ისტორიასთან მიმართებით, ისე მის სწავლებებში. ევროპელი მეცნიერების მომთმენი და ღირსშესანიშნავი შრომით გამოტანილ დასკვნებს ზიზღს არ ვუცხადებ, მაგრამ უყოყმანოდ გადავდებ მათ, სადაც ისინი ეწინააღმდეგებიან ოკულტურ ისტორიაში დაცულ მნიშვნელოვან ფაქტებს – იქნება ეს იმ წარუმატებელ ჩანაწერებში, სადაც მთელი წარსული ჯერ კიდევ ცოცხლობს, თუ სურათები, ან ძველი დოკუმენტები – რომლებიც საგულდაგულოდ ინახება ინიციატორების მიერ, და არ არის სრულიად მიუწვდომელი.

ბუდიზმი

ძმებო! – მოგეხსენებათ, ბუდიზმის სახელით ცნობილი რელიგია წარმოადგენს რელიგიას, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავს. ზუსტი სტატისტიკის ყველა სირთულის მიუხედავად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ კაცობრიობის დაახლოებით ერთი მესამედი მიჰყვება ბუდას სწავლებებს და ევროპაში დიდი ყურადღება მიიპყრო ამ მოძღვრებასთან დაკავშირებით მრავალი აღმოსავლეთმცოდნის თავდადებულმა შრომამ, რომლებიც მოხიბლული იყვნენ თვით ბუდას პიროვნებით, სიწმინდით, მისი სწავლებების აღმატებულებით... მრავალი მიზეზის გამო, რომელთაც

ამჟამად დეტალურად ვერ ჩავწვდები, ბუდიზმს უფრო დიდი მიმზიდველობა აქვს ევროპული გონებისათვის, ვიდრე ჰინდუიზმსა თუ ზოროასტრიზმს – განსაკუთრებით იმ ფორმით, რომლითაც მას ასწავლიან სამხრეთის ეკლესიაში. ჩრდილოეთის ეკლესია – როგორც ეს გვხვდება ტიბეტსა და ჩინეთში – მეტად მჭიდროდ გახლავთ მოკავშირე ჰინდუიზმსა და მის სწავლებასთან: როგორც ღმერთების, მუდმივად მოქმედი ეგოს, როგორც სიკვდილის შემდგომი ცხოვრების, რიტუალებისა და ცერემონიების მიმართ, აგრეთვე როგორც სანსკრიტის მანტრების გამოყენებისადმი, რა ყოველივესაც ევროპელებისათვის ნაკლები მიმზიდველობა გააჩნია. თქვენ უნდა გახსოვდეთ, რომ ევროპელს აქვს გონება, რომელიც არსებითად პრაქტიკულია და არა მეტაფიზიკური, და რომ იგი მიდრეკილია, ზიზღი იგრძნოს უხილავი სამყაროს შესახებ ზედმეტად ბევრი ლაპარაკის გამო, იმ მრავალი სწავლების გამო, რომელიც რელიგიის მეტადრე მისტიკურ მხარეს ეხმიანება. სამხრეთ ეკლესიაში მოცემული მისტიკური ასპექტი დროთა განმავლობაში აშკარად გაქრა ძალიან დიდი მასშტაბით, ყოველ შემთხვევაში, ის თარგმანები მაინც, რომლებსაც ევროპელები ფლობენ. წიგნები,

რომლებიც უფრო მეტად მისტიკურ მხარეს ეხება, ჯერ არ გახლავთ ნათარგმნი და, შესაბამისად, ისინი არ არის ევროპული საზოგადოების წინაშე წარდგენილი. რასაც ისინი ბუდიზმად აღიარებენ, გახლავთ მშვენიერი ეთიკის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბებულია ყველაზე ლამაზად და ყველაზე პოეტურ ენაზე; ისინი ამ ყველაფერში აღიარებენ აღნიშნულ ზნეობრივ სწავლებებს და აზროვნების იშვიათ თავისუფლებას, გონითი განსჯისადმი მუდმივ მიმართვას, განუწყვეტელ მცდელობას, გაამართლონ და გასაგები გახადონ ის საფუძვლები, რომლებზედაც აგებულია მორალი... და ეს ძლიერ იზიდავს მრავალი ევროპელის გონებას, რომელთაც თავი ანებეს რელიგიის უხეშ წარმოდგენებს, ჯერ კიდევ აქტუალური რომ გახლავთ ხსენებულ კონტინენტზე, ეძებენ რა ბუდიზმში თავშესაფარს სრული სკეპტიციზმისაგან დაცლილნი; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ხომ თავს განწირულად ჩათვლიდნენ...

რაც შეეხება ბუდიზმის სწავლებებს, მე აღმოვჩნდები ბუდისტურ წერილებზე მდგომი, რადგან სწორედ ეს არის რწმენასთან ურთიერთობის ყველაზე სამართლიანი გზა; და შემდეგ, როგორც ყოველთვის, შევხედავ მათ ოკულტური ცოდნის ფონზე;